

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



პროფესორ ირინე (ლულუ) მელიქიშვილის  
დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი

**სამეცნიერო კონფერენცია**

**პროგრამა/თეზისები**

30 მაისი, 2023 წელი

**რეგლამენტი:**

მოსვენება სხდომაზე – 20 წუთი

დისკუსია – 10 წუთი

**სამუშაო ენა – ქართული**

**სამშაბათი, 30 მაისი**

**11:00 – 11:30**

**კონფერენციის გახსნა**

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202  
<https://zoom.us/j/92297061639>

**მისალმებები და მოგონებები**

**11:30 – 14:00**

**I სხდომა**

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

**სხდომის თავმჯდომარე –**

ასოცირებული პროფესორი ეთერ სოსელია

**11:30 –12:00**

**ეთერ სოსელია**

სემანტიკა და მისი ადგილი ენათმეცნიერებაში  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**12:00 – 12:30**

**მარინე ივანიშვილი**

ენაში მიმართვის ფორმა არის „გრამატიკული კატეგორია  
წოდებითი ბრუნვის, დიალ, ბრუნვისა“  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**12:30 – 13:00**

**სალომე ოშიაძე**

შედარების კოგნიტიური მექანიზმი და ენობრივი  
საშუალებები ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ  
დისკურსში  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**13:00 – 13:30**

**ნინო ჯაველიძე**

ტოპონიმი – ისტორიული არტეფაქტი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**13:30 – 14:00**

**ზურაბ ბარათაშვილი**

მორფოლინტიკური გარდამავლობა და ვალენტობა: მათი  
კომბინაციები და თეორიულად შესაძლებელი  
კონსტრუქციები  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**14:00 – 14:30**

**შესვენება**

**14:30 – 17:30**

**II სხდომა**

**თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202**

**სხდომის თავმჯდომარე –**

ასოცირებული პროფესორი ივანე ლეჟავა

**15:00 – 15:30**

**ივანე ლეჟავა**

დისიმილაციური გამჟღერება სვანურ და ოსურ ენებში  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**15:30 – 16:00**

**მაია ლომია**

პროსოდიულ ელემენტთა ფუნქციური დანიშნულების საკითხი  
მეგრულში  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**16:00 – 16:30**

**მარინა მეფარიშვილი**

არაბული რედუპლიცირებული ზმნური ძირების სემანტიკური  
მახასიათებლები  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**16:30 – 17:00**

**მერი ჩიქობავა**

„ხის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართველურში – მიმართებები ინდოევროპულსა და სემიტურთან  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**17:00 – 17:30**

**მარია ჯიქია**

დაკვირვებანი თურქული ენების ფონოტაქტიკურ სვლებზე  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**17:00 – 17:30**

**რუსუდან ასათიანი**

ქართულში ბრუნვებისა და პირის ნიშნების შერჩევის  
განმსაზღვრელი ალგორითმი  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რუსუდან ასათიანი

Rusudan Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

ჰუმანიტაზური მეცნიერებათა ფაკულტეტი

*Faculty of Humanities*

ქართულში ბრუნვებისა და პირის ნიშნების შერჩევის  
განმსაზღვრელი ალგორითმი

An Algorithm Defining the Choices of Case Shift and  
Verb Concord Patterns in Georgian

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, ზმნის არგუმენტული  
სტრუქტურა, ალგორითმული წესები ენაში, სემანტიკური  
როლები, სინტაქსური ფუნქციები

**Keywords:** Georgian, argument structures, algorithmic rules in  
linguistics, semantic roles, syntactic functions

ქართულში ზმნასა და მის არგუმენტებს შორის არსებული მორფოსინტაქსური მიმართებების ცალსახა ინტერპრეტაცია სინტაქსური ფუნქციების (resp. S, DO, IO) გამოხატველ ფორმალურ მარკერებად ვერ ხერხდება, რამდენადაც ამ ფუნქციებსა და ბრუნვებსა თუ პირის ნიშნებს შორის ცალსახა დამოკიდებულება არ დასტურდება.

ენობრივი მასალის სემანტიკური თუ ფუნქციონალური ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია ალგორითმული ტიპის წესები, რომლებიც აღწერენ ზმნის არგუმენტული სტრუქტურების გენერაციის პროცესს. ამ პროცესს მართავს სემანტიკური ნიშანი – სიტუაციაში, მოქმედებაში ჩართულობისას არგუმენტის „თავისუფალი ნების“ არსებობა, რომელიც სემანტიკური როლების მახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია: აგენსი არის +[თნ], რეციპიენტი და ექსპერიენცერი კი – [თნ], ხოლო პაციენსი –  $\emptyset$ :

- |      |       |   |                              |
|------|-------|---|------------------------------|
| I.   | -[თნ] | → მიცემითი  | → მანის რიგი                 |
| II.  | +[თნ] | → 1. მოთხოვითი, თუ ზმნა დრო-კილოთა II სერიაში<br>→ 2. სახელობითი  | → ვინის რიგი                 |
| III. | ნული  | → 1. სახელობითი, თუ ის ზმნის ერთადერთი არგუმენტია<br>2. თუ მეორე არგუმენტის ბრუნვა,<br>დადგენილი წინა ორი წესის მიხედვით, არის<br>(a) მიცემითი → სახელობითი<br>(b) მოთხოვითი → სახელობითი<br>(c) სახელობითი → მიცემითი<br>3. თუ ზმნას ორივე არგუმენტი ახლავს,<br>(a) → მიცემითი (მეორე სერიაში)<br>(b) → სახელობითი | → ვინის<br>→ მანის<br>→ Zero |

შემოთავაზებული ალგორითმი აღწერს ზმნის არგუმენტთა ბრუნვებისა და პირის ნიშნების მოდულების შერჩევის განმსაზღვრელ დინამიკურ პროცესს და ნათელს ჰფენს ამ პროცესის კოგნიტიურ საფუძვლებს.

The whole process, which describes the dynamic process of choices of appropriate formal linguistic models – as the case alignment paradigms, so the verb concord patterns in Georgian could be represented as an algorithmic rule:

- |      |                  |   |   |          |          |
|------|------------------|---|---|----------|----------|
| I.   | -[W]             | → Dative  |   | → M-type |          |
| II.  | +[W]             | → 1. Ergative / if a verb form is in II series TAM forms              | } | → V-type |          |
|      |                  | → 2. Nominative   |   |          |          |
| III. | zero             | → 1. Nominative / if it is the only argument linked with a verb       | } | → V-type |          |
|      |                  | 2. if another argument has been defined by the rules I/II as          |   |          |          |
|      |                  | (a) Dative (-[W]) → Nominative  |   |          |          |
|      |                  | (b) Ergative (+[W]) → Nominative                                      |   |          |          |
|      |                  | (c) Nominative (+[W]) → Dative  |   |          | → M-type |
|      |                  | 3. if there are two more arguments (+[W] and -[W]) linked with a verb |   |          |          |
|      |                  | (a) → Dative (in I series)  |   |          | }        |
|      | (b) → Nominative |   |   |          |          |

The algorithm is hierarchically organized: I > II.1 > II.2 > III.1 > III.2.(a) > III.2.(b) > III.2.(c) > III.3.(a) > III.3.(b)

This description and interpretation of the Georgian data has more explanatory content and plays an important role in understanding a grammar's cognitive background.



**ზურაბ ბარათაშვილი**

**Zurab Baratashvili**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*ჰუმანიტაზურ მეცნიეებათა ფაკულტეტი*

*Faculty of Humanities*

**მორფოსინტაქსური გარდამავლობა და ვალენტობა:  
მათი კომბინაციები და თეორიულად შესაძლებელი  
კონსტრუქციები**

**Morphosyntactic Transitivity and Valency:  
Their Combinations and Theoretically Possible  
Constructions**

**საკვანძო სიტყვები:** ვალენტობა, გარდამავლობა, ასახვა,  
კონსტრუქციათა იერარქია

**Keywords:** valency, transitivity, mapping, hierarchy of constructions

ტიპოლოგიაში ერთ-ერთი მიდგომაა თეორიული შესაძლებლობების აღრიცხვა და პოტენციური ფორმებისა და კონსტრუქციების ჩვენება სხვადასხვა ენისათვის.


არსებობს გარდამავლობისადმი ორგვარი მიდგომა: ბინარული დაყოფა (გარდამავალი ~ გარდაუვალი), რომელიც განსხვავდება გრადუალური დაყოფისაგან (მეტად ან ნაკლებად გარდამავალი). თეორიულად, ორივე მიდგომა ღირებულია, მაგრამ სხვადასხვა პერსპექტივიდან არის დანახული. მოხსენებაში გამოყენებული იქნება გარდამავლობის ბინარული მიდგომა, ვალენტობას კი მივიჩნევთ ძირითადი აქტანტების შესაძლო რაოდენობის საფუძველზე განსაზღვრულად ნებისმიერ მოცემულ კონსტრუქციაში.

ვალენტობა გამოითვლება აქტანტთა რაოდენობით (ერთვალენტიანი, ორვალენტიანი, სამვალენტიანი, ოთხვალენტიანი). ოთხი ვალენტური და გარდამავალ-გარდაუვალი კონსტრუქციების კომბინაცია გვადლევს თეორიულად შესაძლებელ რვა ვარიანტს. თითოეულ ტიპს სჭირდება ტიპოლოგიური გადამოწმება ენათა მასალაზე. განიხილება როგორც ამოსავალი (არამარკირებული), ისე წარმოქმნილი (აპლიკატივი, კაუზატივი, პასივი და ა.შ.) კონსტრუქციები, რათა აღრიცხვისას გათვალისწინებული იყოს თეორიულად დასაშვებ შესაძლებლობათა მაქსიმალური რაოდენობა.

წარმოდგენილი მიდგომის ერთ-ერთი მთავარი საკითხია სემანტიკური ვალენტობისა და გარდამავლობის განსხვავება და მათი არეკვლა შესაბამის სინტაქსურ შესატყვისებზე. თეორიულ ჩარჩოებს შორის სხვაობების წარმოსაჩენად განვიხილავთ ზოგიერთ თეორიულ მიდგომას და ასევე ზოგიერთ განმარტებას, ტერმინოლოგიასა და ამოსავალ დებულებებს.

ზემოთქმულისა და რამდენიმე ენის მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე შემოთავაზებულია ვალენტობისა და გარდამავლობის მიმართებებს შორის არსებული შემდეგი იერარქია:

**მორფოსინტაქსური გარდამავლობისა და ვალენტობის იერარქია**



იერარქია ასახავს კონკრეტული კონსტრუქციის არსებობის განპირობებულობას იერარქიაში მის მარცხნივ განთავსებული კონსტრუქციის არსებობით. ამ იერარქიის საფუძველზე ჩამოყალიბებულია გარკვეული განზოგადებები, რომელთა მართებულობა, თავის მხრივ, შეიძლება გადამოწმდეს სხვადასხვა ენის მასალაზე დაყრდნობით.

## ლიტერატურა

- Haspelmath, Martin. 2015. Transitivity prominence. In Andrej L. Malchukov & Bernard Comrie (eds.), *Valency classes in the world's languages*, vol. 1: Introducing the framework, and case studies from Africa and Eurasia (Comparative Handbooks of Linguistics 1/1), 131-147. Berlin: de Gruyter Mouton
- Haspelmath, Martin. 2021. Valency and voice constructions. draft. Academia.edu
- Kittilä, Seppo. 2011. Transitivity Typology. *The Oxford Handbook of Linguistic Typology*. Edited by Jae Jung Song. Oxford Handbooks in Linguistics. Oxford: Oxford University Press
- Kittilä, Seppo. 2007. A typology of tritransitives: alignment types and motivations. *Linguistics* 45-3
- Lazard, Gilbert. 1998. *Actancy*. Empirical Approaches to Language Typology. Editors Georg
- Bossong, Bernard Comrie. Berlin/New York: Mouton de Gruyter
- Mel'čuk, Igor. 2006. Calculus of possibilities as a technique in linguistic typology. In: *Catching Language: The Standing Challenge of Grammar Writing*. Edited by Felix K. Ameka, Alan Dench, and Nicholas Evans. Trends in Linguistics: Studies and Monographs 167. Berlin/New York: Mouton de Gruyter
- Tesnière, Lucien. 2015. *Elements of Structural Syntax*. Translated by Timothy Osborne and Sylvain Kahane. Amsterdam, Philadelphia: John Benjamins
- Van Valin, Robert D., Jr. 2001. *An Introduction to Syntax*. Cambridge: Cambridge University Press

One of the basic approaches in typology is to show the range of theoretical possibilities in terms of the potential forms and constructions in any given language.

There are two approaches to transitivity, the binary distinction (transitive vs. intransitive), which is different from the gradual distinction (more or less transitive). Theoretically, both approaches are valid but from different perspectives. I adopt the former notion in my work


(binary) while I consider valency as the possible number of core arguments.

Valency can be calculated according to the number of arguments (monovalent, bivalent, trivalent, quadrivalent). The conceptual combination of valency and transitivity can lead to the maximal amount of eight different theoretical values, i.e., the transitive-intransitive and the four valency constructions. Each type will need checking cross-linguistically. Besides, the basic (unmarked) and derived (applicative, causative, passive, etc.) constructions will be included in the discussion to show as many types of constructions as possible.

A secondary notion to discuss is the difference between semantic valency and transitivity and their mapping onto their syntactic counterparts. Before discussing the main goals and ideas, some definitions, terminology, and basic assumptions will be presented. Some differences between schools of thought are briefly shown, and they are necessary to clarify the differences between the frameworks.

Considering everything mentioned above, I will put forth the hierarchy of valency and transitivity as presented below.

**Table 1: Hierarchy of syntactic transitivity and valency**



Such a hierarchy shows that the existence of a particular construction implies the existence of any other construction type to the left. Consequently, if such an understanding of transitivity and valency is hypothetically true, then some generalizations can be made, and in turn, they can be tested/proved cross-linguistically.

## References

Haspelmath, Martin. 2015. Transitivity prominence. In Andrej L. Malchukov & Bernard Comrie (eds.), *Valency classes in the world's languages*, vol. 1: Introducing the

- framework, and case studies from Africa and Eurasia (*Comparative Handbooks of Linguistics* 1/1), 131-147. Berlin: de Gruyter Mouton.
- Haspelmath, Martin. 2021. Valency and voice constructions. draft. Academia.edu
- Kittilä, Seppo. 2011. Transitivity Typology. *The Oxford Handbook of Linguistic Typology*. Edited by Jae Jung Song. Oxford Handbooks in Linguistics. Oxford: Oxford University Press
- Kittilä, Seppo. 2007. A typology of tritransitives: alignment types and motivations. *Linguistics* 45-3
- Lazard, Gilbert. 1998. *Actancy*. Empirical Approaches to Language Typology. Editors Georg Bossong, Bernard Comrie. Berlin/New York: Mouton de Gruyter
- Mel'čuk, Igor. 2006. Calculus of possibilities as a technique in linguistic typology. In: *Catching Language: The Standing Challenge of Grammar Writing*. Edited by Felix K. Ameka, Alan Dench, and Nicholas Evans. Trends in Linguistics: Studies and Monographs 167. Berlin/New York: Mouton de Gruyter.
- Tesnière, Lucien. 2015. *Elements of Structural Syntax*. Translated by Timothy Osborne and Sylvain Kahane. Amsterdam, Philadelphia: John Benjamins
- Van Valin, Robert D., Jr. 2001. *An Introduction to Syntax*. Cambridge: Cambridge University Press

**მარინე ივანიშვილი**

**Marine Ivanishvili**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Ivane Javakishvili Tbilisi State University*

*ჰუმანიტაზრ მეცნიეეებათა ფაკულტეტი*

*Faculty of Humanities*

**ენაში მიმართვის ფორმა არის „გრამატიკული  
კატეგორია წოდებითი ბრუნვის, დიალ, ბრუნვისა“**

**Is the Vocative Form a Case in Georgian?**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, მორფოლოგია, სინტაქსი,  
წოდებითი ბრუნვა

**Keywords:** Georgian language, morphology, syntax, vocative case

წოდებითად ცნობილი სახელის ფორმა, ისტორიულად, ქართული ენის გრამატიკებში ყოველთვის იყო მოქცეული ბრუნვათა ჩამონათვალში.

წოდებითის ბრუნვობაში ეჭვი შეიტანეს არნ. ჩიქობავამ და ვ. თოფურიამ.

აკაკი შანიძემ ქართული ენის მასალის ანალიზის საფუძველზე ცხადყო, რომ წოდებითის ფორმა როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური ნიშნებით ბრუნვათა რიგში დგას და ის ბრუნვის ფორმაა. მას სხვა ბრუნვის ფორმებთან სინტაქსურად აერთიანებს ურთიერთობა სინტაგმის წევრებთან, მორფოლოგიურად კი – ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა და მრავლობითი რიცხვის წარმოება.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით, ქართული ენის სინტაგმატიკის ძირითად წესებთან ერთად დასტურდება სიტყვათა სხვა რიგის სემანტიკური კავშირებიც, რამაც შესატყვისობათა სრულად აღნუსხვისთვის განაპირობა დამატებითი ნორმების შემოტანა, ეს კი, თავის მხრივ, იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ ენის კვლევისა და ტექსტის სწორად გაგების, პუნქტუაციის წესების დაზუსტებისა და მართებულ ვერსიათა დადგენის შესაძლებლობას (არაბული).

ამ თვალსაზრისით, წოდებითში დასმული სახელები, რომლებიც არა მარტო სახელებთან, არამედ ზმნებთან მიმართებითაც ქმნიან ერთიან სემანტიკურ შესატყვისობებს, აისახება „წყვილებში“ და, ამდენად, კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტია წოდებითის ბრუნვობასთან დაკავშირებით. აქვე გვეძლევა შესაძლებლობა ენის სინტაქსური ანალიზისას ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინების – ფხაზა, სინტაგმა, შესიტყვება – დაზუსტებისა.

Historically, the vocative form of a noun was always included in the list of cases in the grammar of the Georgian language.

The first scientists who doubted in the vocative case were Arn. Chikobava and V. Topuria. Akaki Shanidze based on Georgian language analysis made it clear that the vocative form is among the cases syntactically as well as morphologically. It is connected with other case

forms syntactically with relation with syntagma members, and morphologically – similar lexical meaning and formation of plural.

According to the text of Shota Rustaveli “Knight in Panter’s Skin”, while working on the dictionary of Georgian language syntagms, it became clear that together with the basic rules of Georgian syntagms, other kinds of semantic relations are attested as well, which led to the introduction of additional norms for the complete list of syntagms.

This, in turn, provides an opportunity to study the language of “Knight in Panter’s Skin”, and to understand the text correctly, to specify the rules of punctuation, and to determine the correct versions (Arabuli).

From this point of view, nouns in the vocative, which not only with nouns but also about verbs create semantic correspondences, are reflected in “pairs” and thus represent another strong argument for considering vocative as a case.

Furthermore, we are allowed to clarify the terms established in the Georgian scientific literature – *phrase, syntagma, word combination* – during the syntactic analysis of the language.



ივანე ლეჟავა

Ivane Lezhava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Ivane Javakishvili Tbilisi State University*

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

*Faculty of Humanities*

დისიმილაციური გამჟღერება სვანურ და  
ოსურ ენებში

**Dissimilative Voicing in Svan and  
Ossetian Languages**

საკვანძო სიტყვები: გამჟღერება, დისტანციური დისიმილაცია

**Keywords:** dissimilative voicing, non-contiguous dissimilation

დისიმილაციური გამჟღერების დროს სიტყვაში ორი ან მეტი ყრუ თანხმოვნიდან ერთ-ერთი მჟღერდება, კერძოდ, დისტანციური დისიმილაციის შემთხვევაში, სიტყვაში ორი მკვეთრიდან ან ორი ფშვინვიერიდან, ან მკვეთრიდან და ფშვინვიერიდან დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე ერთ-ერთი მათგანი მჟღერდება. რეგრესული და პროგრესული დისტანციური დისიმილაციის მაგალითებია: მთიულური – **ბატაჩა<პატაჩა**, ხევსურული – **ბაჭიჭი<პაჭიჭი**, ოსური – **ბიტნა<პიტნა**, სვანური – **ცაბაგ<ცაბაკი, ბაპ<პაპა, ღაიჭ<გაიჭი, მათხჷ< მათხაჷ, ბიფხ<ფიფი** და სხვა (გ. ახვლედიანი, ი. ლეჟავა, მ. სუხიშვილი). კონტაქტური დისიმილაციის შემთხვევები სვანურში პროგრესულია, ნაპრალოვანი განიხსრავებს ხშულს – **ღაშგჷ<ღაშქაჷ, სამხღო<სამხთო** (გ. ახვლედიანი). ოსურ ენაში ქართულიდან შესულ სიტყვებში დისიმილაციური გამჟღერების 29 მაგალითიდან მხოლოდ ერთია დისტანციური პროგრესული დისიმილაციის ნიმუში: ოს. **თაბა** < ქართ. **ცაფა** (გ. ახვლედიანი). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ეს სიტყვა ქართულში სპარსულიდან (**tāpak** – „ტაფა“) უნდა იყოს ნახესხები, თუმცა დასაშვებია, რომ ოსურში, როგორც ირანული ჯგუფის ენაში, ის ქართულიდან არ იყოს შესული.

მაშასადამე, **დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას, რომ სვანური და ოსური ენებისათვის ძირითადად დამახასიათებელია თანხმოვანთა დისტანციური რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერება, კერძოდ კი, სვანურში მოქმედებს მარტივი წესი: პროცესი ყოველთვის **რეგრესულია**, თუ დისიმილაციურ პროცესში მონაწილეობს ერთი და იმავე რაგვარობის ორი თანხმოვანი (ორივე მსკდომი ან ორივე აფრიკატი) ან პირველი თანხმოვანია მსკდომი, მეორე კი – აფრიკატი. ამ წესიდან გადახვევა, ანუ **პროგრესული** დისიმილაცია, ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი თანხმოვანი **y** ან **წ,ჭ** აფრიკატია, ხოლო მეორე – მკვეთრი მსკდომი. მაშასადამე, მკვეთრი აფრიკატი არ ექვემდებარება დისიმილაციურ გავლენას, რადგან გლოტალიზაციის ნიშნისათვის აფრიკატობა უკეთეს პირობას წარმოადგენს, ვიდრე ხშულ-მსკდომობა (ი. მელიქიშვილი). სხვა მხრივ, **y** თანხმოვნის გამჟღერება შეუძლებელია, რადგან სვანურში შესატყვისი მჟღერი არ არსებობს.

## ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი, მ. (1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
- ახვლედიანი, გ. (1999). ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ლეჟავა, ი. (2007). დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში, ენათმეცნიერების საკითხები I-II, ISSN 1512-0473, 61-64, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- მელიქიშვილი, ი. (1976). მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“
- სუხიშვილი, მ. (2007). ფშინვიერ ხშულთა რეგრესულ-დისტანციური დისიმილაციური გამჟღერებისათვის სვანურში, ენათმეცნიერების საკითხები I-II, ISSN 1512-0473, 71-78, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

As a result of non-contiguous dissimilative voicing of the consonants one of the two voiceless stops becomes voiced. In dissimilative voicing of Svan consonants regressive as well as progressive voicing occurs. Non-contiguous dissimilation is mostly regressive, whereas juxtapositional (contiguous) dissimilation is mostly progressive. Among the words borrowed from Georgian in the Ossetian language from 29 examples of non-contiguous dissimilative voicing, only one represents the sample of non-contiguous progressive dissimilation – Os. **thaba** < Geo. **t'apha-** „frying pan“ (G. Akhvlediani, I. Lezhava, M. Sukhishvili).

The Svan and Osetian languages are mainly characterized by anticipatory (regressive) dissimilation at a distance, and this process in Svan is very consequent in the structures of type CVC, CVSC, and CSVC, where simple rules apply, in particular: The process is always regressive if two consonants of the same mode of articulation (both plosives or both affricates) take part in dissimilation, or the first consonant is plosive and the second – affricate.

The deviation from this rule for ejectives – progressive dissimilation – takes place only when the first consonant is an ejective **q'** or affricate **c'**, **č'** and the second – an ejective plosive, i.e. the ejective affricate is not subject to the regressive-dissimilative influence of the ejective plosive, since the feature of glottalization is a better condition for the functioning of affricates than for that of plosives (I. Melikisvili),

and voicing of consonant **q'** is not possible, as there is no corresponding voiced consonant in Svan.

### References

- Andronikashvili, M. (1966). *Narkvevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobidan*, tomi I. [Studies in Iranian-Georgian Linguistic, tome I]. Tbilisi: Press of Tbilisi State University
- Akhvlediani, G. (1999). *Zogadi fonetkis sapudzvebi*. [Fundamentals of General Phonetics]. Tbilisi: press of Sulokhan-Saba Orbeliani Pedagogical University
- Lezhava, I. (2007). *Distantiuri disimilatsiuri gamzhghereba svanur enashi*. [Incontiguous Dissimilative Voicing in Svan Language]. *Enatmetsnierebis sakitkhebi (Issues of Linguistics) I-II*, 61-64. Tbilisi: Press of Tbilisi State University
- Melikishvili, I. (1976). *Markirebis mimarteba ponologiashi*. [The Relation of Marking in Phonology]. Tbilisi: 'Mecniereba'
- Sukhishvili, M. (2007). *Pshvinvier khshulta regresul-distantiur disimilatsiuri gamzhgherebisatvis svanurshi*. [On Regressive-Dissimilative Voicing of Aspirate Occlusives in Svan]. *Enatmetsnierebis sakitkhebi (Issues of Linguistics) I-II*, 71-78. Tbilisi: Press of Tbilisi State University

**მაია ლომია**

**Maia Lomia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Ivane Javakishvili Tbilisi State University*

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

*Faculty of Humanities*

## **პროსოდიულ ელემენტთა ფუნქციური დანიშნულების საკითხი მეგრულში<sup>1</sup>**

### **On the Function of Prosodic Elements in Megrelian<sup>2</sup>**

**საკვანძო სიტყვები:** პროსოდიული ელემენტები, ფუნქციური  
დანიშნულება, მეგრული ენა

**Keywords:** Prosodic elements, Function, Megrelian language

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) #FR-21-352 საგრანტო პროექტის ფარგლებში.

<sup>2</sup> The research was carried out with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). Grant number #FR-21-352.

პროსოდია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის სტრუქტურირებაში. პროსოდიულ საშუალებად ხშირად გამოიყენება კლიტიკურა. მოხსენებაში განხილულია **-ნი**, **-და**,

**-ია** პროსოდიულ ელემენტთა ფუნქციური დანიშნულების საკითხი მეგრულში. ემპირიულ მასალად აღებულია მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშები და ნარატიული წყაროები.

**-ნი** ამოსავალი მნიშვნელობით ქართული „რომ“ კავშირის ფარდი მაქვემდებარებელი კავშირია მეგრულში. მისთვის დამახასიათებელია ცვთა: **-ნი** → **-ნ** || **-ი** || **-გ** || **∅**. პროსოდიულ ელემენტად **-ნი** გაბმულ ტექსტში გამეორებულ სახელებს დაერთვის და თხრობას ექსპრესიულობას მატებს. ამ ფუნქციით **-ნი** განსაკუთრებით ხალხური პოეზიის ენისთვის არის დამახასიათებელი. ბოლოკიდურ პოზიციაზე მოცემულ პროსოდიულ ელემენტს რიტმულობა და მელოდიურობა შემოაქვს პოეტურ ტექსტში. ჩვენი დაკვირვებით, პროსოდიულ ელემენტად გამოყენებისას **-ნი** ფორმალურად არ იცვლება.

**-და** სინქრონიულ დონეზე პირობის გამომხატველ კავშირად განიხილება მეგრულში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-და** კავშირს ქართველურ ენებში ნაწილაკური წარმოშობა აქვს (ჩიქობავა, 1936; ჩანტლაძე, 1998; ლომია, 2005). **-და** პროსოდიული დანიშნულებით დასტურდება ხალხური პოეზიის ენაში და დიალოგურ მეტყველებაში, კერძოდ, II პირის რეპლიკაში - ე.წ. „ექო კითხვების“ დროს, როცა კითხვას ჩაკითხვა მოსდევს:

*(1) მუ გოკო? მუ მოკო-და, ჯვიხობუა; შღჲ. ქახთუდი: (2) ჰა გინდა? ჰა მინდა და კახგად ყოფნა.*

**-და** ელემენტს მეგრულში სხვა შინაარსის პროსოდიული დატვირთვაც აქვს: დასტურდება თხოვნის, მუდარის შემცველ წინადადებაში. მისი ქართული ელემენტი ამ შემთხვევაში „რა“ ნაწილაკი იქნება (სამუშია, 2011).

**-ია** სუფიქსი მეგრულში ორ ნაწილად იყოფა: **-ა** სხვათა სიტყვის ნაწილაკია, III პირის ნათქვამს გადმოსცემს უცვლელად. თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვაფორმაში **-ა-ს** წინ ფონეტიკურ ნიადაგზე ჩნდება **-ი-**, როგორც გამყარი. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია **-ა** ნაწილაკის „ჭარბი“ გამოყენების შემთხვევები მეგრულში (დანელია, 1991). ის, რაც ჭარბია გრამატი-

კულად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის ჩამოყალიბებისა და გადაცემის თვალსაზრისით.

ამრიგად, **-ნი**, **-და**, **-ია** პროსოდიულ ელემენტთა ფუნქციური დანიშნულებაა ექსპრესიულობისა და მელოდიურობის გამოხატვა მეგრულ ტექსტში.

### ლიტერატურა

- დანელია, კ. (1991). შესავალი წერილი. წიგნში: ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II. მეგრული ტექსტები. შეადგინეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- თევდორაძე, ი. (1978). ქართული ენის პროსოდიის საკითხები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლომია, მ. (2005). ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- მუჯირი, ს. (2006). ტექსტის ინფორმაციული სტრუქტურის პროსოდიული ასპექტი, თბილისი.
- სამუშია, ლ. (2011). მეგრულ-ქართული ინტერფერენციებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული რეცენზირებადი სამეცნიერო ბილინგვური ჟურნალი „სპეკალი“. ქაჩთველოლოგია. #3: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines/3>
- ჩიქობავა, არნ. (1936). ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი.
- ჩანტლაძე, ი. (1998). ქართველოლოგიური ძიებანი. თბილისი.
- Skopeteas, S. and Caroline F. (2016). To appear. Focus and intonation in Georgian: Constituent structure and prosodic realization. Accessed at <https://pub.uni-bielefeld.de/person/20588480> on June 10th, 2016.
- Skopeteas, S., Caroline F. and Asatiani, R. (2009). Word Order and Intonation in Georgian. *Lingua* 119 (1), pp. 102-127.
- Кипшидзе, И. (1914). Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. СПб.

Prosody plays an important role in the structuring of information. Clitic data are often used as prosodic means. The paper analyzes the function of prosodic elements **-ni**, **-da**, **-ia** in Megrelian. The empirical material is comprised of Megrelian folk poetry and narrative sources.

Megrelian **-ni** in its initial meaning is equal to Georgian subordinating conjunction “*rom that*”. It is characterized by depreciation: **-ni** → **-n** || **-i** || **-ə** || **∅**. As a prosodic element, **-ni** is added to the nouns repeated in the text and enhances the expressive nature of the narration; in this function, **-ni** is often used in folk poetry. The prosodic element in the final position adds rhythm and melody to a poetic text. Research has proved that the element **-ni** does not change its form when used as a prosodic element.

**-da** is viewed synchronically as a conjunction of conditions in Megrelian. Scholars note that the conjunction **-da** in Kartvelian languages has originated from a particle (Chikobava, 1936; Chantladze, 1998; Lomia 2005). **-da** in its prosodic function is found in folk poetry and oral dialogues, namely, in the reply uttered by the second person in the form of the so-called “echoic questions” which follow ordinary questions and make their meaning more precise:

(1) *mu goḵo? mu moḵo-da, žgirobua; cf. Georgian: (2) ra ginda? ra minda-da, ḵargad ḡopna.*

*“What do you want? What I want is happiness”.*

In Megrelian, the element **-da** has an additional prosodic function: it is found in speech acts of requests, and begging. In such cases, its Georgian equivalent is the particle “*ra*” (Samushia, 2011).

The Megrelian suffix **-ia** is divided into two parts: **-a** is an indirect speech particle, repeating the sentence uttered by the third person in an unchanged way. In the words ending in consonants, according to phonetic rules, appears **-i-** which performs the function of demarcation. Scholarly literature mentions the “excessive” use of the particle **-a** in Megrelian (Danelia, 1991). This grammatical excess is important from the viewpoint of structuring and transmission of information.

Thus, the function of prosodic elements **-ni**, **-da**, and **-it** is to make Megrelian texts more expressive and melodious.

## References

Danelia, K. (1991). Introductory letter. in Book: Megrelian Texts. (1991). Kartuli khal-khuri sitqviereba, t. II. Megruli tekstebi. [Georgian Folk Vocabulary. volume II.



- Megrelian Texts]. Compiled by: K. Danelia, A. Tsanava. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Tevdoradze, I. (1978). Kartuli enis prosodiis sakitkhebi. [Issues of Prosody of the Georgian Language]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Lomia, M. (2005). Hipotaksis sakitkhebi megrulshi. [The Issue of Hypotaxis in Megrelian]. Tbilisi: Publishing House "Universal".
- Mujiri S. (2006). Tekstis inpormatsiuli strukturis prosodiuli aspekti. [The Prosodic Aspect of the Informational Structure of the Text]. Tbilisi.
- Samushia, L. (2011). Megrul-Kartuli interperentsiebisatvis. [On Megrelian-Georgian Interferences]. ELECTRONIC BILINGUAL SCHOLARLY PEER-REVIEWED JOURNAL "SPEKALI", THE FACULTY OF HUMANITIES AT IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. *Georgian Studies*. #3: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines/3>
- Chikobava, A. (1936). Chanuris gramatikuli analizi tekstebiturt. [Grammatical analysis of the Chain with texts]. Tbilisi.
- Cantladze, I. (1998). Kartvelologiuri shromebi. t.I. [Georgian Studies. v. I.]. Tbilisi.
- Skopeteas, S. and Caroline F. (2016). To appear. Focus and intonation in Georgian: Constituent structure and prosodic realization. Accessed at <https://pub.uni-bielefeld.de/person/20588480> on June 10th, 2016.
- Skopeteas, S., Caroline F. and Asatiani, R. (2009). Word Order and Intonation in Georgian. *Lingua* 119 (1), pp. 102-127.
- Kipshidze, I. (1914). Grammatika mingrel'skago (iverskago) jazyka s xrestomatieju i slovarem. [Grammar of the Mingrelian (Iverian) Language with Chrestomathy and Dictionary]. St. Petersburg: Academy Press.

**მარინა მეფარიშვილი**

**Marina Meparishvili**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი წეხეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

*Ilia State University*

*G. Tsereteli Institute for Oriental Studies*

**არაბული რედუპლიცირებული ზმნური ძირების  
სემანტიკური მახასიათებლები**

**The Semantic Characteristics of Arabic Reduplicated  
Verbal Roots**

**საკვანძო სიტყვები:** არაბული, რედუპლიკაცია, სემანტიკა

**Keywords:** Arabic, reduplication, semantics

მოხსენებაში განხილულია რედუპლიცირებული ოთხთანხმოვნისანი ზმნური ძირების ძირითადი სემანტიკური მახასიათებლები სემიტურ ენებში, აგრეთვე – რედუპლიცირებული და ორთანხმოვნისანი ზმნური ძირების ურთიერთმიმართების საკითხები. არაბულ ენობრივ მასალაზე ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყო განსახილველი ძირების ურთიერთმიმართების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები.

საზოგადოდ, ოთხთანხმოვნისანი რედუპლიცირებული ზმნური ძირების ფორმირებისათვის გამოყენებულია ორი ძირეული თანხმოვანი ფონემის გაორმაგება ანუ ორთანხმოვნისანი ზმნური ძირების რედუპლიკაცია ( $xy > xyxy$ ). წარმოების აღნიშნული მოდელი ძალზე პროდუქტიულია არაბულში ისევე, როგორც სხვა სემიტურ ენებში.

არაბული ენობრივი მასალის დეტალური კვლევის შედეგად იკვეთება სამი შემთხვევა:

ა. გამოვლენილია ჯგუფი ორთანხმოვნისანი ზმნური ძირებისა, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ;

ბ. ასევე გამოვლენილია მცირერიცხოვანი ჯგუფი (36 ერთეული) რედუპლიცირებული ძირებისა, რომელთაც, პირიქით, არ მოეპოვებათ შესაბამისი ორთანხმოვნისანი ძირები;

გ. გამოვლენილია დიდი რაოდენობა (99 ერთეული) წყვილებისა, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ორთანხმოვნისანი, ასევე მათგან ფორმირებული რედუპლიცირებული ძირებით.

განხილული ზმნური ძირების სემანტიკური ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ორთანხმოვნისანი ზმნური ძირები, რომელთაც რედუპლიცირებული კორელირებული ძირები არ მოეპოვებათ (115 ერთეული), სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. რაც შეეხება რედუპლიცირებულ ძირებს (135 ერთეული), მათი უმრავლესობა ორ ვრცელ სემანტიკურ პლასტს მოიცავს, კერძოდ, ერთი ნაწილი ინტენსიური მოქმედების სემანტიკას გადმოსცემს, მეორე ნაწილი კი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური ზმნებია.

The paper discusses the main semantic characteristics of the reduplicated four-consonantal verbal roots in Semitic languages, as well as the issues of the relationship between two-consonantal and reduplicated four-consonantal verbal roots. The aim of the research conducted on the Arabic language material was to clearly outline the quantitative and qualitative characteristics of the relationship between the roots under consideration.

In general, for the formation of reduplicated four-consonantal roots doubling of two root consonant phonemes is used, i.e., reduplication of two-consonantal verbal roots ( $xy > xyxy$ ). The above-mentioned model is very productive in Arabic as well as in other Semitic languages.

As a result of the detailed study of the Arabic linguistic material, three cases are identified: a. A group of two-consonantal verbal roots, which do not have reduplicated correlated roots, have been revealed; b. A small group of reduplicated roots (36 units) is identified, which, on the contrary, do not have corresponding two-consonantal roots, and c. A large number of pairs (99 units) are identified, which are represented by the both two-consonantal and reduplicated roots formed from them.

As a result of the semantic analysis of the considered roots, we can conclude: two-consonantal verbal roots, which do not have reduplicated correlated ones (115 units), are characterized by semantic diversity. As for the reduplicated (135 units) roots. most of them include two broad semantic groups, namely: a large part of them convey the semantics of intensive actions, and the other part is phonetic imitative ones – that is onomatopoeic verbal roots.

სალომე ომიადე

Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

ჰუმანიტაზუდ მეცნიეეებათა ფაკულტეტი

*Faculty of Humanities*

შედარების კოგნიტიური მექანიზმი და ენობრივი  
საშუალებები ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ  
დისკურსში

**The Cognitive Mechanism and Language Means of  
Comparison in Prince Bagrat's Culinary Discourse**

**საკვანძო სიტყვები:** მსგავსებითი შედარება, გასტრონომიული  
ლექსიკა, ეტალონური მნიშვნელობა.

**Keywords:** a comparison based on similarity, gastronomic vocabulary,  
meaning of etalon.

შედარება, როგორც სამყაროს შემეცნების ხერხი, ადამიანის ინტელექტუალურ ქმედებათა შორის უძველესია. საგნებისა და მოვლენების მიმსგავსება-განსხვავებით, მათი ცალკეული თვისებ(ებ)ის გამოკვეთით ცხადი ხდება შედარებულის (/მიმსგავსებულის) არსი.

განსაკუთრებულია შედარების როლი კულინარიულ დისკურსში, რომლის საინსტრუქციო ხასიათი გაგებინებას ემყარება. კერძის მოსამზადებლად განკუთვნილი მითითებები რომ შესრულდეს, მათი შინაარსი ზედმიწევნით გასაგები უნდა იყოს. სწორედ ამიტომ უკეთ გაგებინების საშუალებად ბაგრატ ბატონიშვილი თავის სამზარეულოს წიგნში (1818) ხშირად იყენებს მსგავსებით შედარებას. მსგავსებითი შედარების კოგნიტიური მექანიზმი, როგორც ლოგიკური მოდელი, უნივერსალურია, თუმცა, ცხადია, მისი განმახორციელებელი ენობრივი საშუალებები კონკრეტული ენის სისტემით არის დეტერმინირებული. ქართულში შედარების ენობრივი ობიექტივაციისათვის გამოიყენება „მსგავსებითი შედახების ფუნქციით აღჭურვილი თანდებულები, გათანდებულები დექსემები, კავშიხები, სადებივაციო აფიქსები, ფდექსია, პაუზა“ (კვაჭანტირაძე, 1978: 14). ჩამოთვლილთაგან ჩვენს საანალიზო მასალაში დასტურდება თითქმის ყველა შემთხვევა, რომელთა შორის დომინანტური -ვით-თანდებულებიანი პრედიკატული ჯგუფის მაგალითებია.

შედარება, სემანტიკურ-სტრუქტურული ასპექტით, სამ კომპონენტს აერთიანებს: **შედარებულს** (/მიმსგავსებულს) – საგანს ან მოვლენას, რომლის არსში უკეთ გარკვევა გვსურს, **შესადარებელს** (/მისამსგავსებელს) – საგანს ან მოვლენას, რომლის არსიც ცხადია და **საერთო ნიშან-თვისებას**, რომლითაც ამ ორ ოდენობას ვუდარებთ და ვამსგავსებთ ერთმანეთს. განსხვავებით მხატვრული დისკურსისაგან, რომელშიც შედარებას სუბიექტური – ასოციაციური – მსგავსება უდევს საფუძვლად, საინსტრუქციო დისკურსში შედარების ყველა შემთხვევა რეალურ მსგავსებას ემყარება. იმის მიხედვით, შესადარებელი ერთეული გასტრონომიას უკავშირდება თუ სხვა სფეროს, ბაგრატ ბატონიშვილის წიგნში -ვით-თანდებულებიანი კონსტრუქციათა ორი ქვეჯგუფი გამოიკვეთა. გასტრონიმები, რომლებიც შედარების ენობრივ მოდელებში -ვით თანდებულებით არიან წარმოდგენილნი, არა დენო-

ტაციური, არამედ ეტალონური მნიშვნელობით მონაწილეობენ მათში. მაგალითად, „ლავაშსავით“ ნიშნავს ‘თხლად’ და არა ‘პურივით’. მითითებაში – „შაქარი ანუ თაფლი აადუღე რომ **აღვა-ხაზსავით შეიქნას**“ – „აღვახაზი“ კონსისტენციის მაჩვენებელია და არა საახალწლო ტკბილეულის აღმნიშვნელი. სიმკვრივის განმსაზღვრელია შემდეგ საინსტრუქციო კონტექსტებში „თაფ-ლიც“, რომელიც ზოგად დისკურსში სიტკბოს ეტალონად გვევ-ლინება: „ამთენი ხარშე რომ **თაფლსავით შეიქნას**“, „ასე დაზი-ლე, რომ **თაფლსავით აგყვეს** მალა“ და მისთ. ზოგჯერ წინა-დადება ისეა აგებული, რომ შესაძარებლის ეტალონური მნიშ-ვნელობის ხაზგასასმელად რამდენიმე მინიშნებას, რამდენიმე ენობრივ ერთეულს ერთად შეიცავს: „მოილე თეთრი ფქვილი, მო-ზილე ყვითლის კვერცხის გულში, და **გათხელე ლავაშსავით თხლათ**“.

რეცეპტებში სანიმუშოდ წარმოდგენილი -ვით-თანდებულია-ნი გასტრონომიული ლექსემები შერჩეულია ზომის, ფორმის, კონსისტენციისა და ამა თუ იმ კულინარიული ქმედების გასათვა-ლსაჩინოებლად: „დაამგვრგვალე **თხილსავით**“, „მოხარშე **ფაფა-სავით**“, „დანაყე **ქუფთასავით**“, „**პურებივით** გამოაცხე“, „ჩააწყე იმ ცომში და გააკეთე **კუპატივითა**“, „**ყაურმასავით** მოხრაკე“ და სხვ. უკანასკნელ მაგალითთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ შეგვხვდა ზმნის პირიანი ფორმა „**მოაყაურმე**“, რომელიც შე-გვიძლია მივაკუთვნოთ -ვით-თანდებულიან პრედიკატულ ჯგუფს, როგორც მსგავსებითი შედარების მარეალიზებული სინტაქსური კონსტრუქციის რედუცირებული სახე.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნში დადასტურებული -ვით-თანდებულიანი მსგავსებითი შედარების ნიმუშები ღირებულ ცნობებს შეიცავს როგორც ლინგვისტური, ასევე ზოგადკულტურული თვალსაზრი-სით. გასტრონომიული ეტალონების შერჩევაში ნათლად იკვე-თება ეროვნული კულტურის სპეციფიკა და მისი მიმართება სხვა კულტურებთან.

### **ლიტერატურა**

ბაგრატ ბატონიშვილი (1818). წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზარეულ-თაგან, სანკტ პეტერბურღი: იოსებ იოანესოვის სტამბა.

კვაჭანტირაძე, თ. (1978). მსგავსებითი შედარება ქართულში, თბილისი: თსუ გამომცემლობა.  
ომიაძე, ს. (2007). სტერეოტიპი და ეტალონი ეროვნულ კულტურაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9, 53-60, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

Comparison as the way of cognition is the most ancient among human intellectual acts. By finding similarities and differences between things and phenomena and outlining their separate feature(s), the essence of the compared (similar) objects becomes clear.

The role of comparison in the culinary discourse is special because the instructive character of such discourse is based on explanation and understanding. Therefore, in order to achieve a better understanding, Prince Bagrat often applies comparison based on similarities in his cookery book (1818). The cognitive mechanism of comparison based on similarity as a logical model is universal, although the linguistic means are determined by a concrete language system. In Georgian, there are postpositions, postpositional lexemes, conjunctions, derivational affixes, inflections, and pauses used to express comparison based on similarity (Kvachantiradze, 1978: 14). Nearly all the above-mentioned language means are found in the material under our analysis. However, the most dominant examples are predicative groups with the postposition *-ვით /-vit/*.

In Prince Bagrat's book, we can distinguish two groups of constructions with the postposition *-ვით /-vit/*. The difference between these groups is that one group embraces comparisons related to gastronomy, whereas the other contains comparisons related to other fields. The gastronomys represented by the language means expressing comparison and containing the postposition *-ვით /-vit/* are not given in their denotational meaning, instead, they perform the function of an etalon. For instance, in the instruction – “boil sugar or honey to such an extent that they become similar to **Alvakhazi**” (“Alvakhazi” is traditional Georgian sweet food made of honey thickened to such an extent that it resembles pastry) – “Alvakhazi” in this case denotes consistency and not traditional sweet Christmas dish. In the example below, “honey”, generally used as



an etalon of sweetness, denotes consistency “Boil to such an extent that it becomes **like honey**”.

The gastronomic lexemes with the postposition *-ჰოო /-vit/* represented in the recipes are selected based on size, shape, consistency, and certain culinary acts: “make it round **like a nut**”, “boil it **like porridge**”, “mince it **like meatballs**”, “bake it **like bread**”, “put it in the pastry and make it **like sausage**”, “stew it **like stewed liver**” and so on.

Analysis of the material has proved that the comparisons with the *postposition -ჰოო /-vit/* found in Prince Bagrat’s cookery book contain valuable data that are significant from the linguistic and general cultural viewpoints. The selection of gastronomic etalons clearly reveals the specific features of the national culture and its relation to other cultures.

## References

- Prince Bagrat (1818). *Tsigni shesamzadebeli sanovageta mzareultagan* [The Book of Preparation of Food by Cooks]. Saint Petersburg: Ioseb Iohanesov’s Printing Press.
- Kvachantiradze, T. (1978). *Msgavsebiti shedareba kartulshi* [Comparison Based on Similarity in Georgian]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Omiadze, S. (2007). *Stereotipi da etaloni erovnul kulturashi* [Stereotypes and Etalons in the National Culture]. *Journal of Gelati Academy of Sciences*, 9, pp. 53-60, Tbilisi: “Intellect”.

ეთერ სოსელია  
Ether Soselia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*  
ჰუმანიტაჲდ მეცნიეეებათა ფაკულტეტი  
*Faculty of Humanities*

სემანტიკა და მისი ადგილი ენათმეცნიერებაში  
Semantics and its Place in Linguistics

საკვანძო სიტყვები: სემანტიკა, მნიშვნელობა, ენის შესწავლის  
იერარქიული დონეები

**Key words:** semantics, meaning, hierarchical levels of linguistic study

საზოგადოდ, სემანტიკას მოკლედ ასე განმარტავენ: სემანტიკა შეისწავლის მნიშვნელობას.

დავაზუსტოთ მნიშვნელობა სიტყვისა *მნიშვნელობა*.

ამისათვის საჭირო გახდა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლი, ელექტრონული ვერსია) გავყოლოდით შემდეგი სიტყვების მნიშვნელობებს: *მნიშვნელობა, ნიშნავს, ნიშანი*.

აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ სიტყვათა განმარტებებში დომინირებს სიტყვა *აზი*, ამ უკანასკნელი სიტყვის განმარტებაში კი მე-5 პუნქტად მითითებულია *მნიშვნელობა*. ამგვარად, მნიშვნელობები სიტყვებისა *აზი* და *მნიშვნელობა* რაღაც ნაწილში თანაკვეთება.

მიუხედავად იმისა, რომ *მნიშვნელობის* მკაცრად მეცნიერული განსაზღვრება (Ogden & Richards, 1956) არ არსებობს, მაინც – **სემანტიკა შეისწავლის მნიშვნელობას**.

თუმცა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ქმედებას, გარკვეულ წამოწყებას, საქმეს, მთავრობის პოლიტიკასა თუ სხვ. სემანტიკას ამგვარი მნიშვნელობები არ აინტერესებს. სემანტიკა შეისწავლის ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობებს და დღეს იგი ენათმეცნიერების დარგად მიიჩნევა, თუმცა მანამდე, დაახლოებით გასული საუკუნის 50-იან წლებშიც კი, სემანტიკა ლინგვისტიკის პერიფერიულ ქვესისტემადა განიხილებოდა და მის კვლევას ნაკლები ყურადღება ექცეოდა (Hockett, 1968). უკვე 1960-იანი წლებიდან იწყება სერიოზული შემობრუნება სემანტიკისაკენ და დღეს უკვე სემანტიკა განიხილება ენათმეცნიერების დარგად, რომელიც შეისწავლის ენის შინაარსის პლანს.

შესაძლებელია შემდეგი ფორმულირება:

სემანტიკა შეისწავლის ენის შინაარსის პლანს. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეულ ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების შესწავლას, არამედ ამ მნიშვნელობებს შორის არსებული მიმართებებისაც. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ენის შინაარსის პლანის სტრუქტურას.

საინტერესოა გავარკვიოთ სემანტიკის მიმართება ენის შესწავლის ძირითად იერარქიულ დონეებთან, რომლებიც შემდეგი რიგით წარმოგვიდგება:

**ფონოლოგია < მორფოლოგია < სინტაქსი**

სემანტიკას ამ იერარქიულ რიგში ადგილს ვერ მივუჩენთ (მოცემული იერარქიის განმსაზღვრელი პრინციპიდან გამომდინარე). სემანტიკა ენის შესწავლის ყველა დონეზე შემოდის:

– ფონოლოგიის დონეზე, მოცემული დონის უმცირესი ერთეული – ფონემა განისაზღვრება სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციის (რაც სიტყვებს შორის მნიშვნელობაში განსხვავებას გულისხმობს) საფუძველზე;

– მორფოლოგიის დონეზე მოცემული დონის უმცირესი ერთეული ასევე სემანტიკის საფუძველზე განისაზღვრება: მორფემა არის მნიშვნელობის მქონე უმცირესი ენობრივი ერთეული;

– სინტაქსის დონეზე მნიშვნელობის შემოსვლა უდავოა (გავიხსენოთ წინადადების უმარტივესი ტრადიციული განსაზღვრება: წინადადება არის სიტყვათა მიმდევრობა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს).

ამგვარად, სემანტიკა ენის შესწავლის იერარქიულ დონეებს შორის ვერ განთავსდება. იგი თითოეულ იერარქიულ დონეში გარკვეულად მნიშვნელოვანი წილით შემოდის.

## ლიტერატურა

Ogden, C. K. & Richards I. A. (1956), *The Meaning of Meaning*, 10<sup>th</sup> edition, London-Bradford, Lund Humphries.

Hockett, C. F. (1968) *The State of the Art*, The Hague-Paris: Mouton.

ქეგლი, ელექტრონული ვერსია: <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

In general, semantics is briefly defined as follows: Semantics is the study of meaning (Georgian – *mnishvneloba*).

Let's clarify the meaning of the word *mnishvneloba* ('meaning').

For this, it was necessary to follow the definitions of the following words in the Explanatory Dictionary of the Georgian Language: *mnishvneloba* ('meaning'), *nishnavs* ('it means'), *nishani* ('sign').

It was found that in the definitions of the abovementioned words, the word *azri* ('sense') dominates, and among the definitions of the latter one, there is *mnishvneloba* ('meaning') indicated in point 5. Thus,

the meanings of the words *mnishvneloba* ('meaning') and *azri* ('sense') overlap in some parts.

Although there is no strictly scientific definition (Ogden & Richards, 1956) of *mnishvneloba* ('meaning'), still: **Semantics is the study of meaning.**

But an action, a certain initiative, deed, government policy, etc., can have meanings. Semantics is not interested in such meanings. Semantics studies the meanings of linguistic units and today it is considered a branch of linguistics, although before that, even in the 50s of the last century, semantics was considered a peripheral subsystem of linguistics and less attention was paid to the semantic research (Hockett 1968).

Since the 60s, a serious turning towards semantics has begun, and today semantics is already considered as a branch of linguistics that studies the content plan of language.

The following formulation is possible:

Semantics studies the content plan of language; This implies not only the study of the meanings of linguistic units but also the relations, which exist between those meanings and which form the structure of the content plan of the language.

It is interesting to find out what kind of a relationship there exists between semantics and the main hierarchical levels of linguistic study, which are presented in the following order:

### **Phonology < Morphology < Syntax**

It would not be correct to place semantics in this hierarchical order (due to the defining principle of the given hierarchy). Semantics penetrates each level of linguistic study:

- At the level of phonology, the smallest and main unit of a given level – phoneme is defined on the basis of the word-distinctive function (which implies the difference in meanings between words);
- At the level of morphology, the smallest unit of a given level is also defined on the basis of semantics: a morpheme is the smallest linguistic unit having the meaning;

– The introduction of meaning at the level of syntax is quite clear (recall the simplest traditional definition of a sentence: a sentence is a sequence of words that expresses a complete sense).

Thus, semantics cannot be placed among the hierarchical levels of linguistic study. It enters each hierarchical level with a certain significant share.

### **References**

Ogden, C. K. & Richards I. A. (1956), *The Meaning of Meaning*, 10<sup>th</sup> edition, London-Bradford, Lund Humphries.

Hockett, C. F. (1968) *The State of the Art*, The Hague-Paris: Mouton.

Georgian Explanatory Dictionary, digital version:

<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

**მერი ჩიქობავა**

**Meri Chikobava**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი წეხეთის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

*Ilia State University*

*G. Tsereteli Institute for Oriental Studies*

**„ხის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართველურში –  
მიმართებები ინდოევროპულსა და სემიტურთან**  
**Terms for “Tree, Wood” in Kartvelian - Relations with  
Indo-European and Semitic**

**საკვანძო სიტყვები:** ხე, ძელი, ქართველური, ინდოევროპული,  
სემიტური

**Keywords:** tree, wood, Kartvelian, Indo-European, Semitic

ქართველურ ენებში გამოვლენილია ინდოევროპულსა და სემიტურთან საერთო ლექსიკური შრეები – როგორც კულტურული ტერმინები, ისე ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთეულები. ეს მასალა განიხილება წინარე ენათა მაკრონათესაური მიმართების (ნოსტრატული ჰიპოთეზა) და/ან არეალური კავშირის ჰიპოთეზათა ფარგლებში. ეს ჰიპოთეზები არ გამორიცხავს ერთმანეთს, რადგანაც გამორიცხული არაა, მონათესავე ენები ხანგრძლივად თანაარსებობდნენ ერთ არეალში და შესაძლებელია, მათ ინტენსიური კონტაქტები ჰქონდეთ ერთმანეთთან.

ქართველურ ენათა კვლევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდოევროპულ რეკონსტრუქციებს.

მოხსენება ეხება ქართველურში „ხის“ აღმნიშვნელი და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ტერმინის მიმართებებს ინდოევროპული და სემიტური ენების ფორმებთან.

„ხის, მუხის“ აღმნიშვნელი ამოსავალი ფუძე \**deru-*, *dōru-* (პოკორნი), \**t'e/oru-*, \**t're/oru-*, \**t'oru-* (გამყრელიძე/ივანოვი) წარმოდგენილია ყველა ძირითად ინდოევროპულ დიალექტში და აერთიანებს შემდეგ მნიშვნელობებს: 'ხე, მუხა, მერქანი, ხის ტანი', 'ძელი, მორი', 'ფიჭვი', 'მუხნარი, ტევრი'; 'ხის იარაღი, ტარი' და მისთ.

საერთოქართველურში აღდგენილი რამდენიმე განსხვავებული ფონეტიკური სახის მქონე ფუძე (\**ღიხე*, \**გეუხ-*, \**დეღ-*, \**დენდ-* და მისთ.), აგრეთვე ზმნური ფუძე *ძეხ-*/*ძიხ-* „აძრობა“ პარალელს ჰპოვებს რეკონსტრუირებულ საერთოინდოევროპულ, ასევე ცალკეული ინდოევროპული დიალექტების ფორმებთან (ი. მელიქიშვილი).

ხესთან დაკავშირებულ აღნიშვნებს ინდოევროპულსა და სემიტურში შეიძლება შეუდარდეს ქართველურის (ქართულის) კიდევ რამდენიმე ფუძე: *გოხი*, *გაჰი*, *გეჰფი*, *გიჰიფი*. ამ ფუძეთა ურთიერთმიმართება ქართულში, აგრეთვე, მათი მიმართება ინდოევროპული და სემიტური ენების ფორმებთან საკმაოდ გამჭვირვალეა:

*გოხი* 'დიდ ჯოხს, არგანს' აღნიშნავს, ხოლო *გოგი* – 'ცხოველის ფეხს' (საბა); ახალ ქართულში *გოხი* 'ცხოველის ფეხს, თათს' ეწოდება, ხოლო *გოგს* აქვს ორივე მნიშვნელობა – 'რტო', 'თათი, ტორი'.



წინარენოსტრატულში აღდგება საერთოინდოევროპულთან ახლოს მდგომი ფუძე \*t'or'a მნიშვნელობებით „ხე, ხის ნაწილები – ფოთოლი, ტოტი, ქერქი“ და მისთ. (ბომპარდი).

ქართ. გოჩი, გეჩფი, გიჩიფი ფორმითა და სემანტიკით შედარებადია ნოსტრატულისა და წინარეაფრაზიულის, აგრეთვე ცალკეული სემიტური ენების (აქადური, არამეული, სირიული) ფორმებთან.

ქართ. გაჩი – „ხელში სახმარი იარაღის, დროშის სახელური“ – უდარდება ხეთურს.

მოჩი ცალკე დგას, შეეფარდება ინდოევროპულში „თუთის ხის“ აღნიშვნას.

კვლევაში წარმოდგენილი ლექსემათა შედარებითი ანალიზი ითვალისწინებს ხეთა ცალკეული სახეობების სამეურნეო გამოყენებასა და რიტუალურ როლს, ტერმინთა სემანტიკის ტიპოლოგიას. მოცემულია განსხვავებული წარმომავლობის მასალის გამიჯვნის მცდელობა (ფუძეთა სავარაუდო გენეტიკური ერთობა, წინარე ენათა დონის მიმართებები, სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ნასესხები ერთეულები).

წინარე ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის რეკონსტრუქცია და „კულტურის ლექსიკონის“ შედგენა გულისხმობს ცალკეულ ისტორიულ დიალექტში ეტიმოლოგიურად ურთიერთსადაარი სიტყვების გამოვლენას, ამოსავალ არქეტიპებამდე დაყვანასა და გარეენობრივ სინამდვილესთან შეთანადებას. სხვადასხვა ენობრივი ოჯახების დონეზე თემატური ჯგუფების კვლევა ხელს უწყობს ქართველურ ენათა ისტორიულ შესწავლას. ლექსიკის ეს ფრაგმენტი მოწმობს, რომ მხოლოდ შინაგანი რეკონსტრუქციების გზით მოცემული ლექსიკური ჯგუფის ერთეულებს შორის ფორმალური და სემანტიკური მიმართებები ვერ გამოვლინდება, ხოლო საერთოქართველურში აღდგენილი ან ცალკეულ ქართველურ ენებში დადასტურებული განსხვავებული ფორმების ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ ინდოევროპული და სემიტური ენების მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე.

სხვა ნოსტრატული ენების ლექსიკურ მასალასთან სისტემური შედარებების შედეგად შესაძლოა, კიდევ უფრო გაფართოვდეს ქართველურ ენათა კვლევის არეალი, გარკვეულად გადაიხედოს და დაზუსტდეს ქართველური ეტიმოლოგიები.

თავის მხრივ, ქართველურ ენათა მონაცემები ღირებულია საერთოინდოევროპული ლექსიკონის რეკონსტრუქციის, ქართველურ, ინდოევროპულ და სემიტურ ფუძეენებზე მოლაპარაკე ტომთა ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრის, ზოგადად, შედარებითი ენათმეცნიერებისა და არეალური კავშირების საკითხთა კვლევისათვის.

The comparison of the Kartvelian, Indo-European, and Semitic vocabularies reveals quite a number of lexical parallels – similarities between the cultural items as well as native elements. They are discussed within the frames of historical language contacts (areal linguistic studies), or genetic relationship of three language families (Nostratic Hypothesis). These approaches do not exclude each other – related languages may have a long coexistence in common areas and intensive contacts as well.

The paper deals with the lexical-semantic group of “tree, wood” in historical Kartvelian, Indo-European, and Semitic languages. Indo-European reconstructions are of great importance for Kartvelian studies.

The initial stems for “tree, wood” (*\*deru-*, *dōru-* *\*t'e/oru-*, *\*t're/ou-*, *\*t'oru-*), presented in all the main Indo-European dialects, denote: ‘tree, oak; wood; stock, trunk of a tree; beam, log; pine-tree; oak-grove, thicket; ‘any wooden implement, pole’ etc. (Pokorny; Gamkrelidze/Ivanov).

In Common-Kartvelian the following stems are restored: *\*dire* ‘beam, log’; *\*t'eur-* ‘thicket’; *\*zel-* ‘tree, wood’; Georgian verbal stem *zer-/zr-* ‘to bark’ – these different forms were connected with the Common-Indo-European reconstructions, or the forms of certain Indo-European dialects by I. Melikishvili.

Some other Kartvelian (Georgian) stems also may be compared with Indo-European denotations of “tree, wood”: *t'or-i* (*t'ot'- i*) ‘big stick; branch, bough’; ‘foot of an animal, paw’; *t'ar-i* ‘handle, pole’.

A similar stem is restored in Proto-Nostratic: *\*t'or'a* ‘tree, the parts of a tree – leaf, branch, bark, etc.’ (Bomhard).

Georgian *t'or-i* 'branch' is comparable with the Nostratic form also; besides that, Georgian *t'irip<sup>h</sup>-i* 'willow-tree', *terp<sup>h</sup>-i* 'foot' reveal close resemblance to the forms of Proto-Afrasian and Semitic (Akkadian, Aramaic, Syrian) languages.

Georg. *mor-i* 'log' stands apart and corresponds to the name of mulberry-tree (*Morus*) in Indo-European.

Comparative analysis is supported by extralinguistic data (tree species, their economic and cultic role), and by semantic typology of the terms. In the paper, an attempt is made to separate material of different origins – the possible genetic relationship of the stems, lexical relations at the stage of proto-languages, and various strata of borrowed words in Kartvelian languages.

By such an analysis of the concrete part of the vocabulary, we are able to establish the formal and semantic relations between remote forms; it would be impossible to connect them with each other within Kartvelian languages alone, without the help of other languages.

Lexical data from the Kartvelian languages, in turn, are significant for further reconstructions of the Common Indo-European vocabulary.

Complex studies of the lexical-semantic groups are important from the view of locations and contacts of Kartvelian, Indo-European, and Semitic language families in the different periods of their history.

**ნინო ჯაველიძე**

**Nino Javelidze**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გიორგი წეხეთელის სახელობის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
*Ilia State University*  
*G. Tsereteli Institute for Oriental Studies*

**ტოპონიმი – ისტორიული არტეფაქტი**

**Toponym – Historical Artifact**

**საკვანძო სიტყვები:** მალხა, მეხლესი, მახლიენი, კაკული,  
კიკული, კაკულა

**Keywords:** Malkha, Mekhles, Makhlien, Kakuli, Kikuli, Kakula

შუა საუკუნეების წმ. მიწაზე დაფუძნებულ რამდენიმე დასახლებებაში მკვიდრობდნენ ქართველები. სოფლების – *მარხა* და *კაკური* – დამაარსებელთა სადაურობის საკითხის გარკვევა შესაძლებელია ამ ტოპონიმების წარმომავლობის დადგენის გზით. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სოფელი *კაკურის* შესახებ ნათქვამია, რომ თავდაპირველად აქ ცხოვრობდნენ იუდეველნი, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში იგი დასახლებული იყო არაბებით, თანაც მისი არაბული სახელწოდება *ღაიხ-კაკურ* მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილას ოდესღაც არსებობდა მონასტერი (არაბულად *ღაიხ* – მონასტერი). ამ სოფელში ქართველების არსებობას ვიგებთ გვიანი შუა საუკუნეების არაბული დოკუმენტების მეშვეობით. სოფელ *მარხას* დამაარსებელთა ეთნიკური ვინაობის თაობაზე არ არსებობს ერთიანი აზრი. ერთნი მას მიიჩნევენ ქართულ სოფლად, ხოლო სხვანი იუნყებიან, რომ, *მარხის* მცხოვრებთა თქმით, ისინი იყვნენ არაბები, გადმოსახლებული ან ერაყიდან, ან ეგვიპტიდან, ან ლევანტიდან. ამ ორი ტოპონიმის – *მარხასა* და *კაკურის* – ეტიმოლოგიის გარკვევა მოგვცემს შესაძლებლობას, წარმოვაჩინოთ, თუ რომელი სამეტყველო ენის საფუძველზე აიხსნება მათი მნიშვნელობები და ვინ იყვნენ ამ სოფლების დამაარსებელნი თუ თავდაპირველი მცხოვრებნი.

სიტყვა *კაკური*, ფორმის მიხედვით, შეიძლება დავუკავშიროთ ხათურ-ხურიტულ სახელს *კიკური*, ქართულ გვარს *კაკურია* და ეტრუსკულ სიტყვას *კაკურა*. მართლაც, მათ ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ფუძე. გარდა ამისა, ხათურ-ხურიტული და ეტრუსკული სიტყვების შინაარსის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ *კიკურის* სახელი, – თავდაპირველად საკუთარი სახელი ხეთის მეფის მთავარი მეჭინბისა, რომელიც დაკავებული იყო საბრძოლო ცხენების გახედნისა და შენახვის საქმით – შემდგომ, ჩანს, განაზოგადეს და ეტრუსკულ ენაში იგი, საფიქრებელია, აღნიშნავდა ცხენოსან ჯარისკაცს, მხედარს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ეტრუსკულ ენაში ზოგადად ჯარისკაცს სხვა სიტყვითაც აღნიშნავდნენ. ხათებსა და ეტრუსკებს შორის ენობრივ-კულტურული კავშირები აიხსნება იმ ფაქტით, რომ ეტრუსკები თავდაპირველად მკვიდრობდნენ მცირე აზიაში და აპენინის ნახევარკუნძულზე გამოჩნდნენ ძვ.წ. X-XI საუკუნეებში. ამრიგად, ხათები, ხურიტები, ურარტუელები, ქართველტომელნი

და ეტრუსკები მცირე აზიაში თანაარსებობდნენ ერთიან კულტურულ არეალში. რაც შეეხება ქართულ ენაში კიკუდი-ს ფუძიანი გვარების არსებობას, ეს აიხსნება ქართველტომელთა და მცირე აზიის არაინდოგერმანელ ეთნოსთა საერთო გენეტიკური ძირებით, რაც დასტურდება ლინგვისტურ (სიტყვათნარმოება), სარწმუნოებრივ და კულტურულ დონეებზე.

ტოპონიმი *მარბა* ფორმით უკავშირდება ტოპონიმს *მეხდესი*, რომელიც მდებარეობდა ანტიკური ხანის ეგრისის სამეფოში. ამას გარდა, ირკვევა, რომ ტოპონიმები *მარბა* (*მარკა*) და *მეხდესი* (*მეკდესი*), თავის მხრივ, მომდინარეობენ ეთნონიმიდან *მახდიენ-მახედონ-მედები*, რაც ერთ-ერთი ქართველტომელის სახელწოდება გახლავთ. ანტიკური წყაროების თანახმად, მახდიენ-მახედონები მკვიდრობდნენ ეგრისის სამეფოს სამხრეთ ნაწილში – ქ. ტრაპეზუნტის სიახლოვესა და მდ. ჭოროხის აუზში, აგრეთვე – მის შიდა ტერიტორიაზე და ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, მეოთხის ტბამდე. გარდა ამისა, მელხები ცხოვრობდნენ ვაინახების მიწა-წყალზე და ქისტები ქართულ ანკლავს დღესაც უხმობენ სახელად *მედხებს* (*მედქები*). მათი სამოსახლოები აღინუსხება პირიქითა ხევსურეთის სიახლოვეს. ერთი სიტყვით, წმ. მიწის *მარბა* ეტიმოლოგიურად უკავშირდება კოლხეთის ტოპონიმს *მეხდესი* და ქართველტომელთა ეთნონიმს *მახდიენ-მახედონ-მედები*.

ამრიგად, ძველადმოსავლური, ანტიკური და ქართული წყაროების თანახმად, სოფლები *კაკუდი* და *მარბა* ადრეშუასაუკუნეებში წმ. მიწაზე დააარსეს ქართველებმა, რაც ცხადდება ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურით (ტოპონიმები, ეთნონიმები) და აგრეთვე ამ სიტყვათა ლინგვისტური ანალიზით.

Georgians lived in several settlements based on the holy land of the Middle Ages. The issue of the longevity of the founders of the villages – *Malkha* and *Kakul* – can be clarified by determining the origin of these toponyms. In modern scientific literature, it is said about the village of *Kakul* that originally Jews lived here, and in the late Middle Ages it was inhabited by Arabs, while its Arabic name "*Dair-Kakul*" indicates that there was once a monastery in this place (*dair* –

“monastery” in Arabic). We understand the presence of Georgians in this village through Arabic documents of the late Middle Ages. There is no consensus on the ethnic identity of the founders of Malkha village. Some consider it a Georgian village, while others report that according to the inhabitants of Malkhi, they were Arabs, who immigrated either from Iraq, Egypt, or from the Levant. Elucidation of the etymology of these two toponyms – Malkha and Kakul will allow us to show based on which spoken language their meanings are explained and who were the founders and original inhabitants of these villages.

According to the form, the word *Kakul* can be connected with the Proto-Hittite-Mithanian name *Kikuli*, the Georgian surname *Kakulia* and the Etruscan word *Kakula*. Indeed, they are connected by a common base. In addition, the analysis of the content of Proto-Hittite-Mithanian and Etruscan words gives us the reason to conclude that *Kikuli*, which was originally the name of the chief groom of the Hittite king, who was engaged in the work of grooming and keeping war horses, then his name seems to have been generalized and in the Etruscan language, it is conceivable, he mentioned a horse soldier, a rider. In this regard, it is worth noting that in the Etruscan language, a soldier was generally referred to by another word. The linguistic and cultural ties between the Khats and the Etruscans are explained by the fact that the Etruscans originally lived in Asia Minor, and appeared on the Apennine Peninsula in the 10th-11th centuries BC. Thus, Proto-Hittites, Mithanians, Urartians, Georgians, and Etruscans coexisted in a single cultural area in Asia Minor. As for the existence of surnames based on *Kikuli* in the Georgian language, this is explained by the common genetic roots of the Georgian tribes and the non-Indo-Germanic ethnic groups of Asia Minor, which is confirmed by the data from the linguistic (word formation), religious and cultural levels.

The toponym *Malkha* is outwardly connected with the toponym *Mekhlesi*, which was located in the kingdom of Egris in ancient times. In addition, it turns out that the toponyms *Malkha* (*Malka*) and *Mekhlesi* (*Meklesi*), in turn, derive from the ethnonym *Makhlien-Makhelon-Melkhy*, which is the name of one of the Georgian Tomels. According to ancient sources, the *Makhlien-Makhelons* lived in the southern part of the Kingdom of Egris – St. near Trebizond and the river In the Chorokhi

Basin, as well as in its interior and the northwestern part of the Kingdom of Egris, along the Black Sea coast – to Meotid Lake. In addition, the Melkhies lived on the land and water of the Vainakhs, and the Kists still call the Georgian enclave by the name of Melkhy, their settlements are found in the vicinity of Khevsureti. In a word, the Malkha of the land is etymologically related to the Kolkheti toponym Mekhlesi and the ethnonym of the Georgian tribes Makhlien-Makhelon-Melkhy.

Thus, according to ancient Eastern, ancient, and Georgian sources, the villages of Kakul and Malkha in the early Middle Ages were St. It was established on the land by Georgians, which is revealed by the Georgian geographical nomenclature (toponyms, ethnonyms) and also by the linguistic analysis of these words.



**მარია ჯიქია**

**Marika Jikia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Ivane Javachishvili Tbilisi State University*

ჰუმანიტაჲდ მეცნიეეებათა ფაკულტეტი

*Faculty of Humanities*

**დაკვირვებანი თურქული ენების ფონოტაქტიკურ  
სვლებზე**

**Observation on phonotactic moves of Turkic languages**

**საკვანძო სიტყვები:** პროთეზა, ეპენტეზა, თურქული ენები

**Keywords:** prothesis, epenthesis, Turkic languages

თურქული წარმომავლობის ადამიანთათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა (მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი არცთუ იშვიათად გვხვდება; შდრ. თვით მოდგმის დასახელება – Türk). არ არსებობს ენა, რომელიც სხვა ენიდან/ენებიდან არ სესხულობდეს ლექსიკურ ერთეულებს. თურქულ ენებშიც უამრავი ნასესხობაა იმ ენებიდანაც, რომელთაც ეს შეზღუდვა – თანხმოვნები მარცვლის დასაწყისში (რაც უპირატესად ანლაუტს ემთხვევა) – არ აქვთ. არაეროვნული სიტყვები განიცდიან ფონოლოგიურ დამუშავებას, კერძოდ კი, ჩაირთავენ ვიწრო (დაბალი ანულობის) ხმოვანს თავკიდურ თანხმოვნებს შორის. თურქთათვის უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების სიზუსტით გადმოცემისა თუ გათავისების პროცესი განაპირობებს მრავალ ლინგვისტურ სვლას, კერძოდ კი, თანხმოვანთკომპლექსებით (ორი ან მეტი თანხმოვნით) დაწყებული ნასესხები სიტყვების ადაპტაცია თურქულ ენებში ორი გზით ხორციელდება – პროთეზითა და ეპენტეზით.

**პროთეზის** დროს მარცვლის დასაწყისში ორთანხმოვნიან სიტყვას წინ დაემატება ხმოვანი და ახალ მარცვალს წარმოქმნის კომპლექსის პირველ თანხმოვანთან.

მაგ.: რუს. *станан* – აზერბ. *istakan*, ფრანგ. *station* თურქულში ასე „გადაკეთდა“ – *istasyon*, იტალ. *skala* – თურქ. *iskele* ‘ნავსადგური’ და სხვ.

**ეპენტეზის** შემთხვევაში მარცვლის დასაწყისში ორ თანხმოვანს შორის ჯდება ვიწრო ხმოვანი და იქმნება მარცვალი, რითაც თავიდან აცილებულია მარცვლის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრა. მაგ.: ფრანგ. *club* – თურქ. *kulüp* ‘კლუბი’, იტალ. *brillante* – თურქ. *pirlanta* ‘ბრილიანტი’, ინგლ. *stop* – თურქ. *istop* ‘სდექ’ და სხვ.

დავაკვირდით პროთეზის ისეთ შემთხვევას, როდესაც ძირს წინ ვიწრო ბაგისმიერი ხმოვანი ემატება, ახალი მარცვალი წარმოიქმნება, თუმცა სიტყვა იწყება არა ორი თანხმოვნით, არამედ – ერთით, კერძოდ კი, /r/ თანხმოვნით (საკუთრივ თურქული წარმომავლობის სიტყვა /r/-თი არ იწყება).

**Rum – Urum.** ბერძენი თურქულად არის Rum. ბერძნები აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო მუს-

ლიმანურ სამყაროში ამ იმპერიას **Rum diyarı** 'რუმების ქვეყანა' ერქვა. თურქულენოვან ქრისტიან ბერძნებს ეწოდათ ურუმები – **Urumlar**. ისინი დღესდღეობით ყირიმში, მარიუპოლის რეგიონში სახლობენ. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ურუმებს, ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსეთის იმპერიის გენერლის – პასკევიჩის მიერ 1830 წელს აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, ნიკოლოზ I-მა ერზრუმის ვილაიეთში მცხოვრებ გათურქებულ ბერძნებს წალკის რაიონში დასახლების უფლება მისცა. მათ წალკელი ურუმები ეწოდათ. **Rus – Urus**: ანატოლიური თურქულის დიალექტებში რუსებს **Uruslar**-ს უწოდებენ.

იტალ. **roba** > თურქ. **urba** 'სამოსი, ტანსაცმელი, კაბა'; არაბ. **rub'** – رُب > თურქ. **urup** '(ერთი) მეოთხედი'; სპ. **ruspi** > თურქ. **orospu**. ამ შემთხვევაში, ხმოვანთა ჰარმონიის კანონის ზემოქმედებით /r/-ს წინ არა ვინრო, არამედ ფართო ლაბიალური ხმოვანი აღმოჩნდა.

იგივე ლექსემა ქართულში დამკვიდრებული უძველესი სპარსული ნასესხობაა. სიტყვა 'როსკიპი' სწორედ სპარსული /ruspi/-დან მომდინარეობს. ბაქოში მცხოვრები რუსების მეტყველებაში დაფიქსირებულია аржаной (хлеб) 'ჭვავის (პური)', ნაცვლად /ржаной/-ისა, რაც აზერბაიჯანული ენის გავლენით არის მომხდარი. საგულისხმოა, რომ გორელების მეტყველებაში შეგვხვდა 'არჟანოი პური'. ქართლში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (ყარაფაფახები), თუმცა აზერბაიჯანულის გავლენით ამ მოვლენის ახსნა გაჭირდება.

Pronunciation of two or more consonants at the beginning of a syllable is an insurmountable articulatory moment for people of Turkish origin (two consonants at the end of a syllable are not uncommon; cf. the name of the tribe itself – Türk). There is no language that does not borrow lexical items from other language/s. Turkish languages also have a lot of borrowings from languages that do not have this restriction – consonants at the beginning of syllables (which mainly corresponds to anlaut). Non-national words undergo phonological processing, in particular, they include a narrow (low-stress) vowel between consonants. For Turks, the process of accurately con-

veying or mastering foreign language lexical units leads to several linguistic moves. In particular, the adaptation of borrowed words starting with consonant complexes (two or more consonants) in Turkish languages is carried out in two ways – by prothesis and epenthesis.

During the prothesis, a vowel is added to the consonantal word at the beginning of the syllable and forms a new syllable with the first consonant of the complex. E.g.: Rus. glass – Azerbaijani. *istakan*; French station was "transformed" in Turkish like this: *istasyon*; Ital. *skala* – Turkish. *iskele* 'port', etc.

In the case of epenthesis, a narrow vowel is placed between two consonants at the beginning of a syllable and a syllable is formed, thus avoiding the gathering of consonants at the beginning of the syllable. E.g.: French **club** – Turk. **kulüp** 'club'; Ital. **brillante** – Turk. **pirlanta** 'diamond'; English **stop** – Turk. **istop** 'stop', etc.

We observed such a case of the prothesis when a narrow bug-mire vowel is added before the base, a new syllable is formed, although the word does not begin with two consonants, with one, namely /r/ (words of Turkish origin do not begin with /r/).

**Rum – Urum.** Greek in Turkish is Rum. The Greeks were subjects of the Eastern Roman Empire, and in the Muslim world this empire was called **Rum diyarı** 'the land of the Rums'– Turkic-speaking Christian Greeks were called *Urumlar*. They currently live in the Mariupol region of Crimea.

As for Urums living in Georgia: according to the Treaty of Adrianople, based on a petition initiated by General Paskevich of the Russian Empire in 1830, Nicholas I allowed the Turkicized Greeks living in Erzurum vilayet to settle in Tsalka district. They were called Urums from Tsalka.

**Rus – Urus:** In Anatolian Turkic dialects Russians are called **Uruslar**. Ital. **roba** > Turk. **urban** 'garment, clothes; dress'. Arab. **rub'** – ربيع > Turk. **urup** ' (one) quarter'. Pers. **ruspi** > Turk. **orospu**. In this case, due to the effects of the law of vowel harmony, a wide labial vowel was found before /r/.

The same lexeme is the ancient Persian borrowing established in Georgian. The word "**roskipi**" comes from the Persian /**ruspi**/. In the speech of Russians living in Baku, аржаной (хлеб) 'rye (bread)' is

recorded, instead of /ржаной/, which happened under the influence of the Azerbaijani language. It is significant that in the speech of Georgians from Gori we met 'Arzhanoi Puri' – Rye bread. Azerbaijanis (Karaphaphakhs) live in Kartli, however, under the influence of Azerbaijani, it will be difficult to explain this event.



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა